ჩემპიონატი

ხუთი ბურთი ხუთ წუთში

8 მაისის 5 საათია. ლ. პ. ბერიას სახელობის სტადიონის იარუსებზე უკვე ტევა აღარ არის. მაყურებელთა ასეთი დიდი ინტერესი სრულიად გასაგები იყო. ამ დღეს საკავშირო პირველობაზე ერთმანეთს უნდა შეხვედროდნენ ჩვენი ქვეყნის ორი უძლიერესი გუნდი – **ლენინგრადისა და თბილისის "დინამოს"** ფეხბურთელები.

სტადიონის საათის ისრები გვამცნობენ შეჯიბრების დაწყების მოახლოებას. მოთამაშეები იკავებენ თავიანთ ადგილს. იწყება თამაში. ბურთი მეტწილად მოედნის ცენტრშია. მოწინააღმდეგენი ცდილობენ სუსტი ადგილი მოუძებნონ ერთმანეთს და ფრთხილად თამაშობენ.

კიდევ რამდენიმე წუთი და თბილისელებმა ალღო აუღეს სტუმრებს. იწყება იერიშები ლენინგრადის კარზე. კრიტიკულ მომენტებს კრიტიკული მომენტები ცვლიან, მაგრამ უშედეგოდ.

ლენინგრადის დინამოელთა ცდა გარღვევებზე გასვლით გაეხსნათ ანგარიში მარცხით დამთავრდა. ფროლოვმა, კიკნაძემ და გაგუამ ყრუდ ჩაკეტეს საზანოვი, ლატკოვი და ბიზუკოვი.

ტაიმის დამთავრებას 3 წუთიღა უკლია. თითქოს შეჯიბრების პირველი ნახევარი ფრედ (0:0) უნდა დამთავრდეს, მაგრამ არეშკინი, რომელიც მეტწილად ხელით იჭერდა პაიჭაძეს და ამით ფიქრობდა მის შეჩერებას, მოტყუვდა ანგარიშში. მას ხელიდან გაუსხლტა პაიჭაძე და მოხერხებულად მიაწოდა ბურთი ცენტრში. აქ კი შესაფერის ადგილზე აღმოჩნდა ჯეჯელავა, რომელმაც მკვდარი ბურთი გაახვია ბადეში.

თამაში ცენტრიდან იწყება. დასაწყისშივე დამცველი დენისოვი დაიბნა, ამით ისარგებლა მ. ბერძენიშვილმა და 35 მეტრი მანძილიდან ყუმბარისებური გარტყმით გაადიდა ანგარიში. ტაიმის დასასრულს ჯეჯელავამ კვლავ ისახელა თავი. მან დამცველისა და მეკარის მოტყუებით მესამე ბურთი მოაქცია სტუმრების ბადეში.

პირველი ტაიმი დამთავრდა თბილისელთა გამარჯვებით, ანგარიშით 3:0.

შეჯიბრების მეორე ნახევრის პირველ ორ წუთში თბილისის "დინამოს" თავდამსხმელების სასტიკი იერიშების შედეგად ანგარიში ხუთამდის ავიდა. უკანასკნელი 2 ბურთი გაიტანეს პანიუკოვმა და ჯეჯელავამ. ბოლო წუთებში ლენინგრადელები მოთამაშეთა ადგილის გადანაცვლებით შეეცადნენ მშრალი ანგარიშისაგან თავის დაღწევას, მაგრამ იმედი გაუცრუვდათ.

მატჩი დამთავრდა. თბილისის "დინამოს" ბრწყინვალე გამარჯვებით ანგარიშით – 5:0. დინამოელებმა 5 წუთში 5 ბურთი გაიტანეს ლენინგრადელთა კარში.

თბილისის დინამოელები ამ მიღწევით არ უნდა მიეცნედნ თვითკმაყოფილებას. მათ წინ ფრიად სერიოზული მატჩებია. საჭიროა კიდევ მეტი სერიოზული და დაძაბული ბრძოლა მომავალი გამარჯვების მოსაპოვებლად.

ვ. გ–ლია.
"ახალგაზრდა კომუნისტი", 8 მაისი, 1940 წ.